community

The New Apostolic Church around the world

01/2022/GE

წლევანდელი წლის ლოზუნგი:

ერთად ქრისტეში

რედაქციისგან
ერთად ქრისტეში

ღვთისმსახურება
როგორ გკითხულობს
ღმერთი

საეკლესიო მოძღვრება
ეკლესია სიცოცხლეს
ეუბნება „დიახ“

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ერთად ქრისტეში

ღვთისმსახურება

4 როგორ გკითხულობს ღმერთი

საბავშვო კუთხე

10 პირმშოობის კურთხევა იაკობმა ცბიერებით მოიპოვა

12 სტუმრად ვერასთან სინგაპურში

დოქტრინა

14 ეკლესია სიცოცხლეს ეუბნება „დიახ“

რეგიონალური ნაწილი

18 სიახლეები საქართველოდან

Titelfoto: კევინ სარგანტი
Rückseitefoto: ზამბიის ახსე

ერთად ქრისტეში

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

რასაც არ უნდა გვიმზადებდეს ახალი წელი, ჩვენ მაინც უფლის დღეზე ვიქნებით კონცენტრირებული რწმენაში!

მტკიცედ გვწამს, რომ ქრისტე მოვა, რამეთუ სასძლო თემი თან წაიყვანოს. ამიტომაც 2022 წლის ჩვენი დევიზი ასე ჟღერს: „ერთად ქრისტეში“.

„ერთად ყოფნაში“ მე ოთხ საფეხურს ვხედავ:
- თანაზიარებას სამერთ ღმერთთან,
- თანაზიარებას ღვთისმსახურებაზე,
- თანაცხოვრებას თემში,
- ცოცხლებისა და მკვდრების თანაზიარებას.

რას ნიშნავს სამერთ ღმერთთან თანაზიარება? ღვთიური სიცოცხლე თანაზიარებაში ცხოვრებას ნიშნავს. სამერთი ღმერთი არის მამის, ძისა და სულიწმიდის თანაზიარების ღმერთი. და ეს ღმერთი ადამიანს თავისთან თანაზიარებისკენ უხმობს. ვინც ღვთიურ სიცოცხლეს ატარებს, ღმერთთან და მისიანებთან თანაზიარებისკენ ილტვის.

ამ თანაზიარებას ღვთისმსახურებაზე ერთობით განვიცდით. ღვთისმსახურებაზე იესო ქრისტე თავის სიტყვას, მადლს, ხორცსა და სისხლს გვწყალობს. ჩვენ მათთან გვაქვს თანაზიარება, ვინც იგივე მიზანს მისდევს და იგივე გზას ადგას, რასაც ჩვენ.

თანაზიარებაში თანაცხოვრება უფლის მეორედ მოსვლისათვის გვამზადებს, ვინაიდან აქ ვეთვისებით სასძლო თემს და აქ ვსწავლობთ იმის დაძლევას, რაც განშორებას იწვევს. ქრისტეში თანაცხოვრება ნიშნავს: „გაეცი და მიიღე“.

რჩება ცოცხლებისა და მკვდრების თანაზიარება. ქრისტეში თანაზიარება გაცილებით ძლიერია, ვიდრე სიკვდილი. ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის ცოცხლებიცა და განსვენებულებიც ერთად ემზადებიან სიტყვითა და საიდუმლოთი. მერე კი ცოცხლებიცა და მკვდრებიც სამუდამოდ ერთად იქნებიან უფალთან.

ეს არის ჩვენი მიზანი და ერთად უნდა ვიმუშაოთ მასზე. დარწმუნებულნი იყავით იმაში, რომ ღმერთი თავისიანების გვერდით არის. მოციქულები კი ლოცულობენ მათთვის.

გისურვებთ ყველას კურთხეულ 2022 წელს, რომელიც კვლავ ამ ჩვენი მიზნისკენ წაგვიყვანს - ერთად ქრისტეში.

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლიკ შნაიდერი

| როგორ გკითხულობს ღმერთი

პირველი ღვთისმსახურება, რომლის ჩატარებაც პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა 2020 წლის მარტში დაწყებული პანდემიის შემდეგ ევროპის ფარგლებს გარეთ შეძლო, 2021 წლის 15 აგვისტოს შედგა დოდომაში (ტანზანია).

ფოტოები: ვაიმანი, ტანზანიის ახსე

დაბ. 3, 9

„და დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა მას: სადა ხარ?“

ჩემოსაყვარელოძმებოდადებო, მინდაგითხრათ, რომ ჩემი გული სავსეა სიხარულითა და მადლიერებით. 2020 წლის მარტის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ევროპის ფარგლებს გარეთ გამგზავრება შევძელი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა კვალვ შემიძლია ღვთისმსახურების ჩატარება ასეთ დიდ წრეში და ასეთი დიდი გუნდისა და ორკესტრისგან სიამოვნების მიღება. ეს დიდად სასიხარულოა და დიდი მადლია. თქვენ იცით, რომ რთული პერიოდის გავლა მოგვიწია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და კვლავაც გვიწევს. შეიძლება თქვენ აქ, ტანზანიაში, ამ ვირუსმა ნაკლები პრობლემები შეგიქმნათ, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ისიც ვიცი, რომ სხვა მრავალ პრობლემასთან და გაჭირვებასთან გიწევთ

გამკლავება. და ყოველთვის, როცა ამგვარი რთული პერიოდისა და გარემოებების წინაშე ვდგებით, მოდის ერთი და იგივე სული და ერთი და იგივე კითხვას გვისვამს: „სად არის თქვენი ღმერთი? რატომ არ გეხმარებათ? რატომ არ აბრკოლებს იმას, რაც ასეთ მდგომარეობაში გაგდებს? რატომ არ დაგეხმარა და რატომ დაუშვა ეს საშინელება? სად არის შენი ღმერთი?“ (შევ. ფსალმ. 41, 2). პასუხი ვიცით: ღმერთი აქ არის!

მამა-ღმერთი, შემოქმედი, ჯერ კიდევ მუშაობს. ის ზრუნავს თავის შემოქმედებაზე და იმით გვამარაგებს, რაც სასიცოცხლოდ არის აუცილებელი. იგია ის, ვინც სასუნთქ ჰაერს და იმ საკვებს გვაძლევს, რითაც ვსაზრდოობთ. ის გვწყალობს ყველაფერს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვჭირდება.

ძე-ღმერთი აქ არის! ის ჩვენს გამო ეცვა ჯვარს და მამასთან ამაღლდა ზეცაში, რათა ადგილები გაგვიმზადოს. ახლა ის მამასთან იმყოფება როგორც ჩვენი ქომაგი და გვშუამდგომლობს (1. იოან. 2, 1).

სულიწმიდა ღმერთიც შრომაშია. ის ეკლესიაში შრომობს, იქ გვანიჭებს იგი ნუგეშს, ძალსა და წყალობას. ის ჩვენს გულებშიც მუშაობს, რამეთუ წარგვიძღვეს და გვანუგეშოს. ნამდვილად ასეა: ვიცით, რომ ღმერთი აქ არის და ჩვენთვის შრომობს.

მაგრამ იგი ჩვენთანაც მოდის და კითხვებს გვისვამს. ის გვეუბნება: „თქვენ იცით, თუ სად ვარ მე, მაგრამ თქვენ სად ხართ?“ ადამისა და ევას ისტორია თქვენ კარგად იცით: მათ დიდი ცოდვა ჩაიდინეს, და როცა მიხვდნენ, რომ რაღაც ძალიან ცუდი რამ მოიმოქმედეს, შერცხვათ. დაიმალნენ და არ უნდოდათ, რომ ღმერთს დაენახა ისინი. მაგრამ ღმერთმა დაუძახა და ჰკითხა: „სადა ხართ?“ ამ კითხვით ღმერთს მათთვის შემდეგის ახსნა უნდოდა: „არ განგიდგებით. მომავალშიც ვიზრუნებ თქვენზე. ურჩობა გამოიჩინეთ და ახლა ამ ურჩობის შედეგები უნდა მოიმკათ, მაგრამ მე კვლავაც მიყვარხართ და თქვენი დახმარება მინდა.“

და, აი, მოდის ღმერთი ჩვენთან და ასეთ კითხვას გვისვამს: „სადა ხარ?“ ცხადია, ღმერთს არ სჭირდება პასუხი იმის გასაგებად, თუ სად ვართ. მან ყველაფერი იცის. როცა ამ კითხვას გვისვამს, ამით მას ჩვენი დახმარება უნდა. სურს დაგვეხმაროს, რათა შევამოწმოთ, თუ სად ვდგავართ. სურს დაგვეხმაროს, რამეთუ გადავამოწმოთ ჩვენი სულიერი მდგომარეობა და შევცვალოთ ის, რაც შესაცვლელია.

და, აი, მოდის ღმერთი ჩვენთან და გვეკითხება: „სადა ხარ?“

შეიძლება ზოგიერთები ადამისა და ევასავით გრძნობენ თავს და რცხვენიათ, როცა ამ დასკვნამდე მიდიან: „აჰ, ისეთი ცოდვილები ვართ.“ ფიქრობენ, რომ მიზანს ვერასოდეს მიაღწევენ. ფიქრობენ, რომ არ არიან ღირსნი, იყვნენ ღვთის შვილები. მაგრამ არა, ამ დროს მოდის ღმერთი და გვეუბნება: „სადა ხარ? ნუ გრცხვენია, ნუ გეშინია! მოდი, უარს არ გეტყვი, მინდა წყალობა მოგანიჭო. ნუ შიშობ, ნუ მერყეობ, მოდი ჩემთან! მე შენ მიყვარხარ.“ პირველი კითხვა ასე ჟღერს: „სადა ხარ? ნუ გეშინია! მოდი, მე მზად ვარ, მოგიტევო.“

შემდეგი კითხვა, რომელსაც ღმერთი გვისვამს ასეთია: „ჰეი, სადა ხარ? რაღაც ძალიან სწრაფად დამშორდი. გთხოვ, შეამოწმე შენი სული, შეამოწმე შენი გული! ამჩნევ, რომ ნელნელა მშორდები?“ შეიძლება ცოტა იმედგაცრუებულნიც ვართ, ვინაიდან არ შეიწყნარა ღმერთმა ჩვენი ლოცვები, არ შეგვისრულა სურვილები. ახლა კი ცოტა გადავუხვიეთ გზიდან და თანდათან ვშორდებით მას. ის კი გვეუბნება: „ჰეი, სადა ხარ? მშორდები? ნუ დაივიწყებ იმას, რაც შენთვის გავაკეთე!“ ღვთის ძე დედამიწაზე სასწაულების მოსახდენად არ მოსულა. იმისათვის არ ეცვა ჯვარს, რომ სნეულები განეკურნა. ის შენი სულის გადასარჩენად მოვიდა! მას უნდა, რომ საბოლოოდ გიხსნას ბოროტისგან; მისი მიზანი შენი ღვთის სასუფეველში შეყვანაა, სადაც საბოლოოდ განთავისუფლდები ბოროტისგან. ის გეკითხება: „აქ რას აკეთებ? დაბრუნდი, მინდა, რომ საბოლოოდ გიხსნა ბოროტისგან და ჩემს დიდებაში შეგიყვანო.“

ბიბლიაში მთელი რიგი კითხვები გვხვდება. ელია წინასწარმეტყველის პირით ღმერთმა ჰკითხა თავის ხალხს: „როდემდის უნდა კოჭლობდეთ ორივე ფეხით? თუ უფალია ღმერთი, გაჰყევით მას“ (3. მეფ. 18, 21). ღმერთი იგივე კითხვას ჩვენც გვისვამს: „რატომ ყოყმანობთ? თუ გწამთ ჩემი, თუ გწამთ იესო ქრისტესი, მაშინ მომენდეთ!“ იესომ თქვა: „არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს (მათ. 6, 24)“. გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. დიახ, ისეც ხდება, რომ ღმერთს ამ კითხვების დასმა უწევს, ვინაიდან რეალურად, მართლაც, ვყოყმანობთ.

3876-მა ერთმორწმუნე და-ძმამ მიიღო მონაწილეობა პირველმოციქულის ღვთისმსახურებაში, რომელიც პირდაპირ გადაიცემოდა.

ძმებო, დებო, ჩვენ უკვე მივიღეთ ერთხელ გადაწყვეტილება, რომ გავყვებით იესო ქრისტეს და უარს ვეტყვით ბოროტს, და უნდა შევასრულოთ ჩვენი ეს გადაწყვეტილება. მოდით, უარი ვუთხრათ ბოროტს, ვიაროთ ღვთის გზაზე და დავიცვათ მისი მცნებები. მოდით, ვიაროთ მორჩილების გზაზე. და ასე მოვიქცეთ მაშინაც, როცა სასურველის მისაღებად ცოდვის გზა უფრო მარტივი და მოკლე გვეჩვენება. ზოგჯერ შეიძლება ჩვენც აღმოვჩნდეთ ასეთ სიტუაციაში და ამ დროს ღმერთი გვეკითხება, თუ ვის მხარეს ვდგავართ. მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ვერ შევძლებთ, ვემსახუროთ ორ ბატონს. ჩვენი უფალი და მოძღვარი იესო ქრისტეა და მტკიცედ უნდა გავუყვეთ მის გზას.

ღმერთმა ელია წინასწარმეტყველსაც დაუსვა კითხვა (შევ. 3. მეფ. 19, 9-18). ელია ერთ მღვიმეში იყო შეყუჟული. ღმერთი მივიდა მასთან და ჰკითხა: „აქ რა გინდა ელია?“ ელიამ აუხსნა: „უფლის, ცაბაოთ ღმერთის შურმა შემიპყრო, რადგან დაივიწყეს შენი აღთქმა ისრაელიანებმა, დაანგრიეს შენი სამსხვერპლოები, მახვილით დახოცეს შენი წინასწარმეტყველნი; მე ერთი დავრჩი და მეც მოსაკლავად დამდევენ“ (3. მეფ. 19, 9. 10). მაგრამ ღმერთმა დაახ. ასეთი რამ უთხრა: „ელია, აქ რას აკეთებ? მე შენ მჭირდები, რომ ჩემთვის იმუშაო! დაუბრუნდი საქმეს. შეასრულე შენი დავალება და ნახავ, რომ შენთან ვარ. მე შენ გაკურთხებ.“

საყვარელო ძმებო და დებო, ეს მარტო მღვდელმსახურებს კი არ ეხება, არამედ ყველა ჩვენთაგანს. მოდით, ვემსახუროთ უფალს, მაგრამ ხანდახან გვგონია, რომ წარმატებას ვერ ვაღწევთ, რომ ყველაფერი ამაოა. მოდით, ვემსახუროთ უფალს, თუმცა ჩვენი შრომის შედეგები შეიძლება ვერ დავინახოთ. ხანდახან ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს ერთადერთნი დავრჩით, ვინც რაღაცას აკეთებს, რომ ყველა დანარჩენმა პოზიციები დათმო. მაშინ ჩვენც დათმობის ცდუნების წინაშე ვდგებით. დღეს კი მოდის ღმერთი და გვეკითხება: „ჰეი, რას აკეთებ აქ? გადი ამ მღვიმიდან, მჭირდები, და მინდა, რომ მემსახურო!“

შეიძლება ჩვენც განვმარტოვდეთ მღვიმეში იმის გამო, რომ ადამიანებისგან, ჩვენი ძმებისა და დებისგან, იმედგაცრუებულნი ვართ. გვინდა, რომ მარტონი ვიყოთ და არაფერი საერთო აღარ გვქონდეს ამ ხალხთან. ამ დროს ღმერთი გვეძახის: „გადი ამ მღვიმიდან გარეთ! რას აკეთებ აქ? შეუერთდი ღვთის შვილთა ერთობას! მე შენთან ვარ, მე თემთან ვარ, მე თქვენს შორის ვარ, შემოდი ამ ერთობაში!“

ღვთისმსახურება მუსიკალურად გააფორმა გუნდმა და მცირე სიმებიანმა ორკესტრმა

მივენდოთ ღმერთს და გავყვეთ მას - მხოლოდ ჩვენი რწმენის საფუძველზე, დაე, თუნდაც არ გვესმოდეს მისი.

იესოც სვამდა კითხვებს. მოწაფეები უფალთან ერთად იმყოფებოდნენ ზღვაზე, როცა ქარიშხალი ამოვარდა (ლუკ. 8, 22-25). თქვენთვის ნაცნობია ეს ისტორია და იცით, რომ იესოს ამ დროს ეძინა. მოწაფეებმა ყვირილი დაიწყეს, ვინაიდან ძალიან შეეშინდათ და ეგონათ, რომ იღუპებოდნენ. იესომ ჰკითხა მათ: „სად არის თქვენი რწმენა?“ (მუხლი 25). ძმებო და დებო, ეს ის კითხვაა, რომელსაც უფალი საკმაოდ ხშირად მისვამს. ისეთ სიტუაციაში ვიმყოფებით, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს. ჩვენ გვაღელვებს ეს ამბავი და ვლოცულობთ; მაგრამ ვერც პასუხს, ვერც ახსნა-განმარტებას ვერ ვიღებთ და ვერც გამოსავალს ვხედავთ. უბრალოდ ვერ ვწვდებით ღვთის საქმეს. ამ დროს ორი ვარიანტი გვაქვს: ან ფარ-ხმალი უნდა დავყაროთ ანდა ღმერთს მივენდოთ. და ამიტომაც გვეკითხება ღმერთი: „სად არის თქვენი რწმენა? ხომ გწამთ, რომ ყოვლისშემძლე ვარ, გწამთ, რომ გულმოწყალე ვარ, გწამთ, რომ სიყვარულის ღმერთი ვარ. განა ეს არ არის შენი რწმენა?! რატომ არ მენდობი? უბრალოდ ჩემს ხელს მიანდე შენი სული და მომენდე! მე წაგიძღვებით.“

საკუთრი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ეს ნამდვილად არ არის მარტივი. ჩვენ ყოველთვის ახსნა-განმარტებას ვითხოვთ, გვინდა, რომ ღმერთმა გამოსავალი გვიჩვენოს. მომავალშიც ასე იქნება ჩემთვის. მაგრამ იგი არაფერს გვეუბნება გარდა ამისა: „უბრალოდ მომენდე!“ ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, ეს არის ჩვენი რწმენა. ჩვენ გვწამს ღმერთის, ყოვლადძლიერის, სიყვარულის ღმერთის, გულმოწყალების ღმერთის; და მაშინაც კი, როცა აბსოლუტურად ვერაფერს ვიგებთ, თუ რა ხდება, წარმოდგენა არა გვაქვს, თუ რა იქნება მომავალში, წარმოდგენა არა გვაქვს, თუ როგორ გავუმკლავდეთ არსებულ სიტუაციას, ღმერთს მივენდოთ და გავყვეთ მას - დაე, თუნდავ არ გვესმოდეს მისი, უბრალოდ რწმენით გავაკეთოთ ეს.

შემდეგი კითხვა, რომელიც მან მოწაფეებს დაუსვა: ერთხელ მოწაფეები გზაში იმყოფებოდნენ და როცა კაპერნაუმში დაბრუნდნენ, იესომ ჰკითხა მათ: „რაზე მსჯელობდით გზაში?“ (მარკ. 9, 33). მოწაფეებს შერცხვათ და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ვინაიდან გზაში ისინი იმაზე დავობდნენ, თუ ვინ უფრო დიდი იყო მათ შორის. ცხადია, იესომ იცოდა პასუხი და საერთოდ არ უნდა დაესვა ეს კითხვა. მაგრამ მას სურდა, გაეცნობიერებინათ მოწაფეებს, რომ ეს არ იყო კარგი.

ეს არის ასევე იესოს შეკითხვა მისი სასძლოს, ეკლესიის მიმართ: „რაზე მსჯელობთ ზეციური იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე?“ ამ კითხვას სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ძმებო და დებო, რაზე ვმსჯელობთ? ჩვენს პარტნიორთან, ოჯახში, თემში, ჩვენ ყველაფერზე შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ როგორ ვლაპარაკობთ ეკლესიაზე? როგორ ვლაპარაკობთ მღვდელმსახურებზე? როგორ ვლაპარაკობთ ჩვენს ძმებსა და დებზე?

სამხ. მოციქულის თანაშემწე მ. ნსამბა თანაქადაგებისას (მარცხ.)
წმიდა ზიარება (ზემოთ)

ვლაპარაკობთ კი ღმერთზე? რას ვამბობთ მასზე? პარტნიორთან, ოჯახში, თემში არსებულ ატმოსფეროს ჩვენი არტიკულაცია და საუბრების შინაარსი განსაზღვრავს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად გვესმოდეს, თუ რას ვამბობთ. ბავშვებს ესმით ჩვენი საუბრები და იმახსოვრებენ. მაშ, მოდით, ფრთხილად ვიყოთ და სწორ საკითხებზე მოვახდინოთ კონცენტრირება. ზეციური იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე ამ კითხვაზე ვიფიქროთ: „რაზე ვმსჯელობთ?“

ნება მიბოძეთ, იესოს კიდევ ერთ შეკითხვას შევეხო: „რას მდევნი მე?“ (საქმე 9, 4). ეს განსაკუთრებული შეკითხვა იყო. იესოს ამით შემდეგის ახსნა სურდა: „რასაც ჩემს ძმას ან დას გაუკეთებ, იგივეს მე გამიკეთებ.“ მამაც იგივე შეკითხვას გვისვამს: „რად მდევნი?“ ცხადია, ჩვენს მიზანს ჩვენი ძმებისა და დების დევნა არ წარმოადგენს. ეს ის არ არის, რისი თქმაც ღმერთს ჩვენთვის უნდა. როცა ამ კითხვას გვისვამს, უნდა, რომ კარგად გავაცნობიეროთ შემდეგი: რასაც მოყვასს, ჩვენს ძმას, ჩვენს დას - ჩვენს შვილებს - გავუკეთებთ, იგივეს გავუკეთებთ მასაც.

ნება მიბოძეთ, ეს სხვაგვარად აგიხსნათ. როცა გადავწყვეტთ, თუ როგორ მოვექცეთ მოყვასს, როცა გადავწყვეტთ, თუ როგორ მოვექცეთ ჩვენს ძმას და დას, თუ როგორ უნდა დაველაპარაკოთ მას და როგორ მოვეპყრათ, მაშინ უნდა დავივიწყოთ ის, რაც მან გაგვიკეთა. უპ. ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, თუ რა გააკეთა იესომ ჩვენთვის და როგორ გვექცევა იგი. მერე შევძლებთ გადავწყვიტოთ, თუ როგორ მოვექცეთ მოყვასს. გატკინა მოყვასმა გული და გამწარებული ხარ? გაიხსენე, რომ იესომ მოგიტევა! გაიხსენე ყველაფერი, რაც ჩაგიდენია, იესო ამ დროს ყოველთვის მოსულა შენთან და უთქვამს: „მოგიტევებ!“ დაფიქრდით ამაზე და გაითავისეთ. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეთ, თუ როგორ მოექცეთ მოყვასს. იმედგაცრუებული ხარ იმის გამო, რომ არ დაგეხმარა მოყვასი, თუმცა დახმარებას დაგპირდა? გული დაგწყდა იმის გამო, რომ შენზე ცუდი ილაპარაკა? ვიდრე რეაგირებას მოახდენ ამაზე, შეჩერდი და დამშვიდდი! დაფიქრდი საკუთარ თავზე და საქციელზე: რამდენჯერ შეჰპირებიხარ უფალს რაღაცას და ვერ შეგისრულებია? რამდენჯერ გავბრაზებულვართ იმის გამო, რომ ჩვენი ლოცვა არ შეუწყნარებია ღმერთს? და როგორი რეაქცია ჰქონია მას ამაზე? თუ კარგად გავაცნობიერებთ ამას, მაშინ იმასაც გადავწყვეტთ, თუ როგორ მოვექცეთ მოყვასს.

როგორც ხედავთ, საყვარელო ძმებო და დებო, ეს მხოლოდ რამოდენიმე შეკითხვაა, რომლებსაც სულიწმიდა გვისვამს. მოდით, გულით ვატაროთ ეს კითხვები. ეს ჩვენს ხსნას შეუწყობს ხელს. იესოს პასუხი ყოველთვის ერთი და იგივეა: „რაც არ უნდა

წმიდა ზიარება (ზემოთ)
პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი მოციქულების დანიელ ოოკო ოხოგოსა და კოსმას ბარასა ვანიალას ორდინირებისას (მარჯვ.)

მოხდეს, სადაც არ უნდა იყო, მოდი! მიყვარხარ, მინდა გადაგარჩინო. ბოლომდე გამომყევი. ჩემი დახმარებით შეძლებ ამას.“

სამხ. მოციქულის თანაშემწისა და სამხ. მოციქულის ქადაგების შემდეგ პირველმოციქულმა თქვა: „სად არის შენი ღმერთი?“ ის, რომ ღმერთი დღეს ჩვენთან არის, შეგვიძლია წმიდა ზიარებაში განვიცადოთ. წმიდა ზიარებას იესო ქრისტეს მსხვერპლის ხსოვნით ვზეიმობთ. „გახსოვდეს, რომ ის შენთვის ეცვა ჯვარს!“ სად არის იესო დღეს? ის მამის ტახტთან გვშუამდგომლობს მადლითა და სიკეთით. ის ცოდვებსა და ვალებს მოგიტევებს.

სად არის იესო? წმიდა ზიარების მეშვეობით იგი ჩვენს შორისაა. სად არის იესო? შენი ძმის და შენი დის გვერდით ხომ არ დგას იგი? როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, ნებისმიერ ჩვენთაგანს შეუძლია დაინახოს, რომ ის ჩემს მოყვასს, ჩემს ძმას და დას, იგივე წყალობას ანიჭებს და იგივე სეფისკვერს აწვდის, რასაც მე. ის მეუბნება: „მე მოგიტევე შენ. მიყვარხარ. გაზიარებ ჩემს ხორცს, გაზიარებ ჩემს სისხლს.“

ჩემს ძმასა და დასაც იგივეს ეუბნება და ზუსტად იგივეს სწყალობს უფალი, რასაც მე.

ახლა კი ვიცით, თუ სად არის იესო და ის გვეკითხება: „თქვენ სადა ხართ?“ ნუ ყოყმანობთ! მოდით იესოსთან, მას უნდა, რომ მოგიტევოთ. შეიძლება ჩვენი ფიქრებითა და გულით ცოტათი დავშორდით მას. დაბრუნდი! დიახ, ჩვენი სურვილია, ვემსახუროთ იესოს, დიახ, ჩვენი სურვილია, მივენდოთ მას, რაც არ უნდა მოხდეს!

შეიძლება დღევანდელი ჩვენი სიტყვა საუკეთესო არ იყო., მაგრამ, მოდით, ყოველთვის ყურადღებით ვიყოთ, თუ რაზე და როგორ ვსაუბრობთ! იქნებ სხვაგვარად გვინდოდა მოვქცეოდით ჩვენს ძმებსა და დებს?! მაშ, მოდით! - წმიდა ზიარება ამის საშუალებას მოგვცემს.

ჩვენ ყველა იმდენ ძალას მივიღებთ ზიარებიდან, რამდენიც ამისთვის გვჭირდება.

ძირითადი აზრები

- სულიწმიდა გვიწვევს, რამეთუ მივეახლოთ ღმერთს, მივენდოთ და ვემსახუროთ მას.
- მოყვასის მიმართ ჩვენი ქცევა იმ სიყვარულით განისაზღვრება, რომელსაც უფალი ჩვენს მიმართ ავლენს.
- ჩვენი სიტყვები იმ სიკეთის ანარეკლია, რომელსაც ღმერთი გვიკეთებს.

პირმშოობის კურთხევა იაკობმა ცბიერებით მოიპოვა

დაბ. 25, 29-34 და 27-ის მიხედვით

ესავი და იაკობი ტყუპები იყვნენ. ესავი, უფროსი, წითური იყო და ტანი ისე ჰქონდა თმით დაფარული, თითქოს „ბეწვის მოსასხამი“ ემოსა. ის მონადირე იყო და ველად დახეტიალობდა. იაკობს კი სუფთა კანი ჰქონდა. მას კარვებთან სიახლოვეს ყოფნა ერჩივნა. ისაკს, მამას, განსაკუთრებით უყვარდა ესავი და სიამოვნებით მიირთმევდა მის მიერ მოტანილ ნანადირევს. იაკობი კი, პირიქით, დედის, რებეკას, საყვარელი ძე იყო.

ერთ დღესაც, როცა ესავი ველიდან დაბრუნდა, იაკობი ოსპის შეჭამანდს ამზადებდა. ესავი დაღლილი იყო და უნდოდა, რომ იაკობს მისთვის შეჭამანდი მიეცა. მაგრამ იაკობმა უთხრა: „მომყიდე დღეს შენი პირმშოობა.“ ესავმა მიუგო: „აჰა, ვკვდები, რად მინდა პირმშოობა?“ პირმშოობა მისთვის არაფერს ნიშნავდა. ესავმა პირმშოობა საჭმელში გაცვალა, იაკობმა კი პური და ოსპის შეჭამანდი მისცა სამაგიეროდ.

როცა ისაკი დაბერდა და მხედველობა დააკლდა, ესავს, თავის უფროს ძეს, უხმო. ისაკმა უთხრა მას: „აჰა, მოვხუცდი მე, და არ ვიცი, როდის მოვკვდები. აიღე შენი მშვილ-ისარი და გადი ველად, და მოინადირე ჩემთვის რაიმე ნადირი. მერე კი მისგან მომიმზადე კერძი, რომელიც მიყვარს, და მომიტანე. მას შემდეგ, რაც შევჭამ, გაკურთხებ.“

რებეკამ მოისმინა ეს სიტყვები. და როცა ესავი სანადიროდ წავიდა, გაიყვანა იაკობი გვერდზე და მოუყვა, რაც გაიგონა. რებეკამ იაკობი ფარაში გააგზავნა და იქიდან ორი კარგი თიკანი მოაყვანინა. მისგან ისაკისათვის იმ საჭმელის მომზადებას აპირებდა, რომელიც მას უყვარდა. იაკობს კი მამისთვის უნდა მიეტანა იგი, რათა ისაკს ის ეკურთხებინა და არა მისი ძმა. იაკობმა უთხრა დედამისს: „ჩემი ძმა, ესავი, ბანჯგვლიანია, მე კი სლიკინა კანი მაქვს. რომ შემეხოს მამა და მიხვდეს, რომ მისი მოტყუება მინდა, კი არ მაკურთხებს, არამედ დამწყევლის.“ დედამ კი უპასუხა: „ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები.“

იაკობმა მოუყვანა დედას თიკნები, მან კი ის საჭმელი მოამზადა, რაც მამას უყვარდა. შემდეგ იაკობს ესავის ძვირფასი ტანსაცმელი ჩააცვა და ხელებსა და ყელზე თიკნის ტყავები შემოახვია. ამის მერე საჭმელი მიაწოდა მას პურთან ერთად.

იაკობმა საჭმელი მამას მიუტანა. მამამ ჰკითხა: „რომელი ხარ?“

იაკობმა უპასუხა: „მე ვარ ესავი, შენი პირმშო. ისე მოვიქეცი, როგორც მითხარი. მოდი, დაჯექი და ჭამე ჩემი ნანადირევიდან და მაკურთხე.“

ისაკმა ჰკითხა თავის ძეს: „ასე სწრაფად როგორ მოინადირე?“

მან კი მიუგო: „უფალი, შენი ღმერთი, შემეწია.“

ისაკმა იაკობი თავისთან ახლოს მიიყვანა და ხელით შეეხო, რათა მიმხვდარიყო, ნამდვილად ესავი იყო თუ არა. „ხმა, ხმა იაკობისაა, ხელები კი ხელები ესავისა“, თქვა მან. მან ვერ იცნო იაკობი, ვინაიდან მისი ხელებიც ესავივით ბანჯგვლიანი იყო. ისაკმა ჭამა და სვა. როცა იაკობს მოეხვია, ესავის ტანსაცმლის სუნი იყნოსა და აკურთხა იგი: „შეხედე, სუნი ჩემი ძისა, როგორც სუნი ველისა, რომელიც აკურთხა უფალმა. მოგცეს შენ ღმერთმა ცის ცვრისაგან და მიწის სინოყივრისგან უხვი ხორბალი და ღვინო; და გმონებდნენ შენ ხალხები, და თაყვანს გცემდნენ ტომები. იყავი ბატონი შენი ძმებისა, და თაყვანს გცემდნენ შენ ძენი დედაშენისა. მაწყევარი შენი წყეულიმც იყოს და მაკურთხებელი შენი კურთხეულ იყოს!“

როგორც კი დაასრულა მამამ კურთხევა, იაკობი გარეთ გამოვიდა და ესავიც დაბრუნდა ნადირობიდან, მაშინვე მოამზადა საჭმელი და მამას მიუტანა.

„რომელი ხარ?“, იკითხა ისაკმა.

ესავმა უპასუხა: „მე ვარ ესავი, შენი პირმშო.“

ისაკი შეძრწუნდა და იკითხა: „სად არის ის მონადირე, რომელმაც საჭმელი მომიტანა და ახლახანს ვჭამე, და რომელიც ვაკურთხე? ის კურთხეული იქნება.“

როცა ესავმა ეს სიტყვები მოისმინა, ხმამაღლა შეჰყვირა და დამწუხრდა. უთხრა მამას: „მეც მაკურთხე, მამაჩემო! ვერ მაკურთხებ?“

ისაკმა კი უპასუხა: „შენი ძმა მოვიდა და კურთხევა წაგართვა.“

იაკობი იძულებული გახდა ესავის რისხვას გაქცეოდა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 09/2020 წ; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატო

სტუმრად ვერასთან სინგაპურში

ჩემი სახელია ვერა ქლოე, მშობლებთან ერთად სინგაპურში ვცხოვრობ. სინგაპური პატარა ქვეყანაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ის ფინანსური ცენტრი და ცნობილი ტურისტული ადგილია.

2011 წლის 1 დეკემბერს ახალსამოციქულო ოჯახში დავიბადე, მამაჩემს ჰქვია გარი, დედაჩემს კი - ნესილი. ორივე ძალიან მიყვარს. მამაჩემი მღვდელია; ის ბანკში მუშაობს. დედაჩემი კლიენტებს იმაში ეხმარება, რომ ევროპის ქვეყნებში შესვლის ნებართვა მიიღონ.

ჩემს მეშვიდე დაბადების დღემდე ცოტა ხნით ადრე მშობლებმა ბაჭია მაჩუქეს. ეს ყველაზე საუკეთესო საჩუქარია, რაც კი აქამდე მიმიღია. მე მას „რეინბაუ“(ცისარტყელა) დავარქვი, თუმცა ის ყავისფერი და თეთრია და არა ჭრელი.

მე ქალთა სკოლაში დავდივარ. შაბათ-კვირას მე და ჩემი მშობლები ერთი და იგივე ავტობუსით ვმგზავრობთ, მე და მამაჩემი ჩემი სკოლის მახლობლად ჩამოვდივართ და ფეხით ვაგრძელებთ გზას სკოლამდე. გაკვეთილების დაწყებამდე კი სკოლის ჭიშკართან ერთად ვსაუზმობთ.

სკოლაში სხვადასხვა კულტურებზე ვსაუბრობთ და გვირჩევენ, რომ დღესასწაულებზე სკოლის ფორმის ნაცვლად ტრადიციული სამოსი ჩავიცვათ. ჩინური ახალი წლისათვის წელს ჩემს „ჩონსამს“ ჩავიცვამ.



ჩვენ წყნარ უბანში ვცხოვრობთ. ჩვენს ბინაში სამი საძინებელია და, მართალია, მე საკუთარი ოთახი მაქვს, მაგრამ მაინც მშობლებთან ძილი მირჩევნია. ვიდრე დასაძინებლად წავალთ, ჯერ ერთად ვლოცულობთ, ცოტას ვისაუბრებთ და შემდეგ ერთმანეთს მშვიდობიან ღამეს ვუსურვებთ.

ღვთისმსახურებები ჩვენთან სასტუმროში ტარდება. ჩვენი ეკლესია იქ ყოველ კვირას საკონფერენციო დარბაზს ქირაობს პირველ სართულზე. ადრე მე ერთადერთი ბავშვი ვიყავი თემში. მიხარია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში კიდევ ხუთი ბავშვი მოვიდა; და ახლა ყოველ კვირას საკვირაო სკოლაც გვაქვს.

ამა წლის ერთ შაბათს ახლომდებარე სავაჭრო ცენტრში წავედით და მშობლებმა იქ ვიოლინო მიყიდეს. დედაჩემს უნდა, რომ ვიოლინოზე დაკვრა მასწავლოს. მე ბლოკ-ფლეიტაზე და ქსილოფონზეც ვუკრავ და სკოლის გუნდშიც ვმღერი.

ზოგჯერ მე და დედაჩემი ერთად ვაცხობთ ხოლმე პურს ან საჭმელს ვამზადებთ. ძალიან მიყვარს ხახვიანი ერბოკვერცხი. ხანდახან, როცა ჩემი მშობლები ისეთ რამეს ჭამენ, რაც მე არ მიყვარს, მაგ., ხორცს, ჩემს საყვარელ ერბოკვერცხს მიკეთებენ ხოლმე. ზოგჯერ დედაჩემს ჩემი საყვარელი საჭმელის მომზადებას ვთხოვ ხოლმე: ის მსოფლიოში საუკეთესო სპაგეტის ამზადებს.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 09/2020 წ; ფოტოები: პირადი; © marishayu; © anekoho - stock.adobe.com

ეკლესია სიცოცხლეს ეუბნება „დიახ“

ეკლესია სიცოცხლეს ეუბნება „დიახ“

ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეფცია პრინციპში მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორების საქმეა. თუმცა ეკლესია გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებას სთავაზობს მათ. ამ შემთხვევაში მთავარი კრიტერიუმია: არ მოკლათ ჩასახული სიცოცხლე.

ამას საფუძვლად უდევს „ადამიანის სიცოცხლის საწყისისა და დასასრულის“ შესახებ ახალსამოციქულო ეკლესიის პოზიციები, რომლებიც 2021 წლის „კომუნიტის“ პირველსა და მეორე ნომერში იქნა წარმოდგენილი. ქვემოთ მოცემული დასკვნები, პირველ რიგში, ცალკეული მეთოდის მოქმედების მექანიზმს ეხება. უსაფრთხოება და გვერდითი მოვლენები დეტალურად არ არის განხილული და ისინი დამატებით უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

ეს დასკვნები ვერ ჩაანაცვლებს კონსულტაციას სპეციალისტთან, მით უმეტეს, რომ კონკრეტულ შემთხვევებში კონტრაცეფციის მეთოდები შეიძლება ჯანმრთელებისთვის რისკებსაც შეიცავდეს.

ყურადღების გარეშეა დარჩენილი ასევე სხვადასხვა კულტურული და საზოგადოებრივი გარემოებანი, რომლებსაც ამ მეთოდთა არჩევანი ექვემდებარება. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ტრადიციულ მედიცინას. მეთოდები, რომლებსაც არ გააჩნიათ მეცნიერული საფუძვლები, არ განიხილება.

ჰორმონალურ კონტრაცეფტივებს, როგორც წესი, მოქმედების სხვადასხვა მექანიზმი გააჩნია და ბუნებრივი ბიოლოგიური ციკლის სხვადასხვა ეტაპებში ერევა (მაგ., აფერხებენ ოვულაციას და ხელს უშლიან განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოს კედელზე მიმაგრებას).

ყველა განცხადება მხოლოდ ამჟამად არსებული სამედიცინო-ბიოლოგიური ცოდნის და კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს.

ამ მეთოდების მოქმედების მექანიზმები

თავდაცვა (კონტრაცეფტია) სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს. კვერცხუჯრედის განაყოფიერება სპერმატოზოიდით შეიძლება ოვულაციის ჩახშობით ან ბარიერული მეთოდების გამოყენებით შეფერხდეს (A). დანარჩენი მეთოდები (B) კი განაყოფიერებული კვერცხუჯრედის შემდგომ განვითარებას უშლის ხელს. ზოგიერთი მეთოდის შემთხვევაში მოქმედების ძირითადი მექანიზმი მისი გამოყენების დროზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება კონტრაცეფციის მეთოდის ეფექტურობას, სპეციალისტთან შეიძლება გავარკვიოთ. მაგ, შეიძლება ვიკითხოთ, ფერხდება თუ არა განაყოფიერება. მითითებები კონტრაცეფტივის მოქმედების ძირითად მექანიზმთან დაკავშირებით მწარმოებლის მიერ მოწოდებულ პროდუქტის სპეციალურ ინფორმაციებშიც გვხვდება.

(A) განაყოფიერების შეფერხება

ოვულაციის ჩახშობა
გარკვეული ჰორმონების მიწოდების მეშვეობით (მაგ., აბების ან ისეთი პრეპარატების მიწოდებით, რომლებსაც საშოში ან საშვილოსნოში ათავსებენ, მაგ. სპირალს), ორგანიზმი თავად მართავს საკუთარ ჰორმონებს ისე, რომ ოვულაცია არ მოხდეს.

მოქმედების ეს მექანიზმი ახასიათებს როგორც კომბინირებულ, ესტრაგონისა და პროგესტინის შემცველ, ასევე მხოლოდ პროგესტინის შემცველ კონტრაცეპტივებს.

ჰორმონალური კონტრაცეფტივები, რომელთა ძირითადი ეფექტიც ოვულაციის ჩახშობაში მდგომარეობს, მოქმედების სხვა ეფექტზეც მიუთითებს, როგორიცაა საშვილოსნოს ყელის ლორწოვანი გარსის თრომბოზი, ფალოპის მილებში წამწამების რხევის დაბრკოლება, ენდომეტრიუმის ფორმის შეცვლა - შესაძლოა კვერცხუჯრედის საშვილოსნოზე მიმაგრების გართულებით.

მნიშვნელოვანი მითითება: ორსულობის პრევენციის თვალსაზრისით ჰორმონალური პრეპარატები საკმაოდ უსაფრთხოა. ამის წინაპირობას წარმოადგენს სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების სწორი გამოყენება და გამორიცხვა, ისეთების, როგორიცაა მედიკამენტების ურთიერთქმედება, ნაწლავის მიერ შეწოვის დარღვევა ან სწრაფი დაშლა ღვიძლში, რომლებიც ასუსტებენ მოქმედების ეფექტს ან სულაც ხელს უშლიან მას.

შენიშვნა ძუძუთი კვებასთან დაკავშირებით: ორგანიზმის მიერ საკუთარი ჰორმონების მართვაზე ძუძუთი კვებაც ახდენს გავლენას იმგვარად, რომ ოვულაცია იშვიათად ხდება. ვინაიდან ეს უსაფრთხო სულაც არ არის, კონტრაცეფციის მეთოდებზე ლაპარაკი აქ ზედმეტია.

ბარიერების შექმნა
ბარიერულ მეთოდებს უწოდებენ იმ უსაფრთხოების ზომებს, რომლებიც სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შერწყმას უშლიან ხელს. ტრადიციული მედიცინის შესაბამის პარაქტიკას წარმოადგენს:

- პრეზერვატივი კაცისა და ქალისათვის, რომელიც სქესობრივი დაავადებებისაგან შესანიშნავი დაცვის საშუალებაც არის;
- საშვილოსნოს ყელის ჩაჩი ან დიაფრაგმა (სილიკონის ჩაჩი საშვილოსნოს ყელთან);
- ქალის სტერილიზაცია (ფალოპის მილების გადაკეტვა) ან
- მამაკაცის სტერილიზაცია (სათესლე სადინარის ბლოკირება).

სპერმატოზოიდების დახოცვა
გამოიყენება ვაგინალური მალამოები ან სანთლები (ან ხდება ვაგინის გამორეცხვა), რომელთა შემადგენელი ნივთიერებებიც კლავს სპერმატოზოიდებს ეაკულაციის შემდეგ (ვაგინაში მათი გამოყოფის შემდეგ). (შენიშვნა: ერთ-ერთი თავისთავად ნაკლებად უსართხო მეთოდი, რომელიც რეკომენდირებულია მხოლოდ პრეზერვატივთან კომბინაციაში!)

დისტანციის დაცვა
ოვულაციის შემდეგ კვერცხუჯრედის განაყოფიერება მხოლოდ მომდევნო 12 (24 საათამდე) საათის განმავლობაშია შესაძლებელი. ამ ფაზის გამოსათვლელად სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება:

- კალენდრის მეთოდი („Knaus Ogino“ ოვულაციის გამოთვლა მენსტრუალური ციკლის კალენდრის მიხედვით);
- ტემპერატურის მეთოდი (ოვულაციის განსაზღვრა სხეულის ტემპერატურის გაზომვის მეშვეობით);
- „ბილინგის მეთოდი“ (ოვულაციის დადგენა ვაგინალური სეკრეციის განსაზღვრის მიხედვით);
- სიმპტომოთერმული მეთოდი (ტემპერატურისა და ბილინგის მეთოდების კომბინაცია);
- სქესობრივი აქტის შეწყვეტა (Koitus interruptus): პენისის გამოღება საშოდან ეაკულაციამდე.
- (შენიშვნა: უსაფრთხო ნამდვილად არ არის!)

ამგვარ თავდაცვას ხშირად „ბუნებრივ კონტრაცეფციას“ უწოდებენ. განაყოფიერების ფაზის ამგვარად განსაზღვრის დროს წყვილი ან თავს იკავებს, ან ამ კონკრეტულ დღეებში კონტრაცეფტივებით იცავს თავს.

(B) ზრდა-განვითრების შეფერხება

კვერცხუჯრედის მიმაგრების ბლოკირება
განაყოფიერება, ე. ი. სპერმისა და კვერცხუჯრედის შერწყმა, ფალოპის მილში ხდება. ამის შემდეგ ადრეული ჩანასახი (ემბრიონი) ფალოპის მილის გასწვრივ ხუთი დღის განმავლობაში მოძრაობს საშვილოსნოსკენ. იმისათვის, რომ ზრდა-განვითარება შეძლოს, ემბრიონი საშვილოსნოს კედელს უნდა მიემაგროს. ეს საკმაოდ რთული პროცესია. ბუნებრივი განვითრების დროსაც ეს პროცესი არც თუ ისე იშვიათად ემბრიონის დაკარგვასაც იწვევს. კვერცხუჯრედის მიმაგრების დაბრკოლება კონტრაცეფციის მეთოდებით ხდება. ემბრიონი ვეღარ ახერხებს შემდგომ განვითარებას და კვდება.

სპილენძის ან ოქროს შემცველი საშვილოსნოსშიდა სპირალების გარდა კონტრაცეფციის ამ მეთოდებს განეკუთვნება ასევე ყველა ჰორმონალური თავდაცვის საშუალება (კონტრაცეფტივი), რომელთა მთავარი ეფექტიც ოვულაციის ჩახშობაში არ მდგომარეობს.

ემბრიონის მოშორება
აბორტმა ემბრიონის ზრდა-განვითარებას მაშინაც შეიძლება შეუშალოს ხელი, როცა ემბრიონი წარმატებით მიემაგრება საშვილოსნოს კედელს. როგორც წესი, ამ დროს შემდეგ მეთოდებს იყენებენ:

- ორსულობის შეწყვეტა მიფეპრისტონის მეშვეობით (მუცლის მოშლის პროვოცირება ანტიჰორმონალური ზემოქმედებით);
- ორსულობის ქირურგიული შეწყვეტა (ემბრიონის ან ნაყოფის ამოღება საშვილოსნოდან გამოფხეკვით).

(C) დროზე დამოკიდებული მეთოდები

შესავალში დადგინდა, რომ ჰორმონალურ კონტრაცეფტივებს მოქმედების რამოდენიმე მექანიზმი გააჩნია. იმ შემთხვევებში, რომლებიც (A) და (B) ქვეპუნქტებშია დასახელებული, მკაფიოდ შეიძლება გამოიყოს მოქმედების ძირითადი მექანიზმი. მოქმედების მექანიზმი აქ ჩამოთვლილ მეთოდებში დროზეა დამოკიდებული. მარტო ოვულაციის ჩახშობა უსაფრთხო არ არის.

- სამთვიანი ინექცია: ყვითელი სხეულის შემცველი ინექციები თორმეტ კვირაში ერთხელ კეთდება. საყურადღებოა ის, რომ ოვულაციის ჩახშობა ხდება ინექციის პირველი ოთხი კვირიდან რვა კვირამდე გამოყენების შემთხვევაში. ამის შემდეგ განაყოფიერება შესაძლებელია, მაგრამ ამავე დროს კვერცხუჯრედის საშვილოსნოზე მიმაგრებასაც შეიძლება ხელი შეუშალოს.
- გადაუდებელი კონტრაცეფცია ან „აბები შემდეგ“: ოვულაციის დროს მათი მიღებისას მისი ეფექტი ოვულაციის რამოდენიმე

დღით გადაწევაში მდგომარეობს ისე, რომ განაყოფიერება არ მოხდეს. სპეციალისტების რამოდენიმე ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ ლევონორგესტრელის და ულიპრისტალის აცეტატის გამოყენებაში ხედავს სასურველი ეფექტის მიღწევის საშუალებას. აბების მიღება ოვულაციის შემდეგ არაეფექტურია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საშვილოსნოზე მიმაგრებულ განაყოფიერებულ ან განვითარებად კვერცხუჯრედზე ეს გავლენას ვერ ახდენს. მონაცემთა ბაზა, რომელსაც სპეციალისტთა ეს ჯგუფები ეყრდნობიან, ძალიან მცირეა.

შეფასებაg

იმ ძირითადი დასკვნის მიხედვით, რომ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მოკვლა არ შეიძლება, ყველა იმ მეთოდის გამოყენება შეიძლება, რომელთა მოქმედების მთავარი ეფექტიც კვერცხუჯრედის სპერმატოზოიდით განაყოფიერებისათვის ხელის შეშლაში მდგომარეობს. უარყოფილ უნდა იქნას ის მეთოდები, რომელთა მოქმედების მთავარი ეფექტიც ემბრიონის საშვილოსნოს კედელზე მიმაგრების დაბრკოლებაა, რაც ორსულობის შეწყვეტის მსგავსია.

მეთოდები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ, როგორც კვერცხუჯრედის განაყოფიერებას, ასევე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ზრდა-განვითარებას, სულ მცირე კრიტიკულად მაინც უნდა იქნას შეფასებული. სხვადასხვაგვარად აფასებენ ასევე გადაუდებელ კონტრაცეფციას „აბები შემდეგ“. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მარტო ოვულაციის გადაწევა ამ მეთოდის გამოყენებას უვნებელს ხდის. მაგრამ წარმოდენილ კვლევებს კრიტიკოსები არასაკმარისად მიიჩნევენ და შეშფოთებას გამოთქვამენ ამის გამო.

ახალსამოციქულო ეკლესიის პოზიცია კონტრაცეფციასთან დაკავშირებით

სხვადასხვა კულტურული და ინდივიდუალური გარემოებების გამო ახალსამოციქულო ეკლესიას არ შეუძლია დეტალური რეკომენდაციების გაცემა ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით: ეკლესიის ზოგადი პრინციპები ასეთია:

- ოჯახის დაგეგმვა (შობადობის რეგულირება) პრინციპში მხოლოდ და მხოლოდ ცოლ-ქმრის საქმეა;
- სექსუალობა ცოლ-ქმარს შორის ღვთისათვის მისაღებია, როგორც მეუღლეებს შორის სიყვარულის გამოხატულება. ადამიანი ვალდებულია პასუხისმგებლობის შეგნებითა და გონივრულად მიუდგეს საკუთარ სექსუალობას. ამაში შედის ის გადაწყვეტილებაც, თუ რამდენი შვილის ყოლა უნდა ცოლ-ქმარს;
- შობადობის რეგულირება თავდაცვითი საშუალებებისა და შესაბამისი ზომების გამოყენებით არის შესაძლებელი;
- ეკლესია კონტრაცეფციის წინააღმდეგი არ არის, რომლის მოქმედების ძირითადი მექანიზმიც კვერცხუჯრედის განაყოფიერების შეფერხებაში მდგომარეობს. პირიქით, იგი უგულვებელყოფს იმ საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებიც უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ზრდა-განვითარებას აფერხებენ ან საერთოდ კლავენ მას;
- რაც შეეხება კონტრაცეფციის მეთოდის ეფექტურობას, სპეციალისტთან შეიძლება გავარკვიოთ. მითითებები კონტრაცეფტივის მოქმედების ძირითად მექანიზმთან დაკავშირებით მწარმოებლის მიერ მოწოდებულ პროდუქტის სპეციალურ ინფორმაციებშიც გვხვდება;
- შობადობის სარეგულაციოდ პრეზერვატივების გამოყენება დაავადებათა გადადებისგანაც იცავს ადამიანს, მაგ, შიდსისგან.

შეჯამება

ეკლესია სიცოცხლეს ეუბნება „დიახ“. ოჯახის დაგეგმვა ცოლ-ქმრის საქმეა, თუმცა ეკლესია უარყოფს შობადობის რეგულაციის იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რომელთა მოქმედების ძირითადი ეფექტიც განაყოფიერებული კვერცხუჯრედების მოკვლაში მდგომარეობს. ჩასახული სიცოცხლის შემდგომი ზრდა-განვითარება არ უნდა შეფერხდეს.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

სიახლეები საქართველოდან

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

სამხ. ხუცესი პ. უგრიმოვი პენსიაში და მისი მეუღლე ელვირა, ოქროს ქორწილი
ოქროს ქორწილის ლოცვა-კურთხევა

მოციქულის ვიზიტი: 2021 წლის 18-26 ნოემბერს საქართველოში ვიზიტად იმყოფებოდნენ მოციქული ვოლფგანგ შუგი და სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი. მათი ვიზიტი საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა. ადგილობრივ ხელმძღვანელ მღვდელმსახურებთან ერთად სასულიერო საქმიანობის გარდა სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხებიც იქნა განხილული.

20 ოქტომბერს, შაბათს, მოციქული და სამხ. ხუცესი ახალშენში გაემგზავრნენ, სადაც ახალშენისა და ახმეტის თემის ღვთის შვილები იყვნენ შეკრებილნი (38 დამსწრე). მოციქულმა შუგმა ღვთისმსახურება კორინთელთა მიმართ ეპისტოლედან აღებული ციტატით წარმართა (1. კორ. 15, 40-42): „არის ციური სხეულები და არის მიწიერი სხეულები, მაგრამ ციურის დიდება სხვაა და მიწიერისა -სხვა. სხვანაირია მზის დიდება და სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განირჩევა ვარსკვლავისაგან დიდებით. ასევე მკვდრეთით აღდგომაც: ითესება ხრწნილებით და აღდგება უხრწნელებით.“ მოციქულმა აღნიშნა, რომ თესლის პატარა მარცვალი ახალ სიცოცხლეს განასახიერებს. გაზაფხულზე, როცა მას ნიადაგში აგდებენ, მისგან ახალი სიცოცხლე აღმოცენდება უზარმაზარი ხეებისა და მცენარეების სახით, გამოდის კვირტები და განახლებული სიცოცხლე იწყება. თავად თესლის მარცვალი კი კვდება. სწორედ ეს არის ის ახალი სიცოცხლე, რომელიც ღმერთმა ჩაგვინერგა. და აღდგომის სხეულით შემოსილნი, ახლად აღმოცენებული მცენარეების მსგავსად, ჩვენც აღვდგებით. ღვთისმსახურების შემდეგ მოციქულმა და სამხ. ხუცესმა ახალგაზრდულ პროექტთან დაკავშირებული მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს და ისაუბრეს ახალშენის ეკლესიის ფასადის რემონტზეც.

21 ნოემბერს, კვირას, მოციქულმა ავლაბრის ეკლესიაში იმსახურა იქ შეკრებილი 34 დამისათვის და ქადაგება ახალშენში გამოყენებული ბიბლიური ციტატით დაიწყო და მისი შინაარსი უფრო გააღრმავა.

ეს ღვთისმსახურება განსაკუთრებული იყო საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიისათვის, ვინაიდან აქ პირველად ჩატარდა ოქროს ქორწილთან დაკავშირებული საქორწინო ლოცვა-კურთხევა. საქორწინო ლოცვა-კურთხევის მოფენა სხვადასხვა ქორწინების თარიღებთან დაკავშირებით მიღებული პრაქტიკაა გერმანიის საერთაშორისო

მღვდელმსახურები ძმების საათის შემდეგ

ახალსამოციქულო ეკლესიაში, მაგრამ ახალია საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიისთვის.

სამხ. ხუცესი პენსიაში პეტრე უგრიმოვი, რომელიც 25 ნოემბერს 80 წლის გახდა, და მისი მეუღლე ელვირა უკვე ორმოცდაათი წელია ერთად ეწევიან ცოლ-ქმრულ უღელს და ერთგულად ემსახურებიან ღმერთს. ეს იყო საზეიმო და გულისამაჩუყებელი მღვდელმოქმედება, რომელიც თავად მოციქულმა ჩაატარა. მან დალოცა და აკურთხა ეს ოქროს წყვილი და დიდხანს სიცოცხლე და ღვთის ერთგულება უსურვა მათ 83-ე ფსალმუნიდან აღებული სიტყვებით (12 და 13): „რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი. მადლსა და ღირსებას მისცემს უფალი, სიკეთეს არ დაუჭერს უბიწოდ მოარულთ. უფალო ძალთა! ნეტარია კაცი შენზე მონდობილი.“

23 ნოემბერს , სამშაბათს, ძმების საათი ჩატარდა, რომელსაც ყველა აქტიური მღვდელმსახური დაესწრო. სასულიერო ნაწილის შემდეგ მოციქულმა ქალების როლზე ილაპარაკა ეკლესიაში. მან აღნიშნა, რომ ქალი და კაცი თანასწორია, და ეს ასეა ღვთის თვალშიც. ახალსამოციქულო ეკლესიაში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, შეიძლება თუ არა, რომ ქალსაც მიენიჭოს სასულიერო წოდება ანუ სასულიერო თანამდებობა. უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. ყველა მოციქულს, 350-ს, ამასთან დაკავშირებული მოსაზრებების წარდგენა დაევალა. ამ საკითხთან დაკავშირებით მათ უკვე წარუდგინეს პირველმოციქულს თავიანთი პოზიციები. პირველმოციქული ყველა სამხ. მოციქულთან ერთად განიხილავს წარდგენილ მოსაზრებებსა და პოზიციებს და ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ძმების საათზე წამოჭრილმა ამ საკითხმა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია და ადგილობრივმა მღვდელმსახურებმა ისიც კი არნიშნეს, რომ საქართველოში ყოველთვის იყო კაცისა და ქალის თანასწორობა და გაიხსენეს რუსთაველის სიტყვები: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.“

მოციქულმა შუგმა ოთხშაბათს, 24 ნოემბერსაც, ჩაატარა ღვთისმსახურება ავლაბრის თემში.

26 ნოემბერს მოციქული ვ. შუგი გერმანიაში დაბრუნდა, სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი კი აზერბაიჯანში გაემგზავრა იქაური თემის მოსანახულებლად.

ნეკროლოგი:

არსებულმა პანდემიამ, რომელიც მთელ მსოფლიოში მძვინვარებს, ჩვენი მღვდელი ბესო დევდარიანიც შეიწირა, იგი 2021 წლის 8 ოქტომბერს კოვიდით გარდაიცვალა. ბესო დევდარიანი 1958 წლის 24 იანვარს დაიბადა ხარაგაულში. იგი თავის მეუღლე მაიასთან ერთად (რომელიც დღემდე ავლაბრის თემის გუნდის ხელმძღვანელია და საქართველოს თემებს საგალობლების შესწავლაში ეხმარება) ეკლესიაში 2003 წლის დასაწყისში მოვიდა. იმავე წლის 9 ივლისს მოციქულმა გუნთერ ჰომბურგმა იგი სულიწმიდით აღბეჭდა და დიაკვნად აკურთხა. 2012 წლის 2 სექტემბერს კი მოციქულმა რაინერ შტორკმა მღვდლის სასულიერო თანამდებობა მიანიჭა მას. მღვდელი ბესო დევდარიანი იყო კეთილი, გულისხმიერი და ღვთის საქმის ერთგული მორწმუნე, მოსიყვარულე მამა და მეუღლე. იგი დაუღალავად შრომობდა ღვთის საქმეში და დამაჯერებლად ავრცელებდა სახარებას ერთმორწმუნე და-ძმებში საქართველოს მასშტაბით. მისი ხსოვნა ჩვენს გულებში დარჩება.

პროგრამა

02. 01. 2022 წ.	გიფჰორნი (გერმანია)
09. 01. 2022 წ.	კალგარი (კანადა)
16. 01. 2022 წ.	ოსტერმუნდინგენი (შვიცარია)
21. 01. 2022 წ.	თარიღი დასადგენია (ანგოლა)
22. 01. 2022 წ.	თარიღი დასადგენია (ანგოლა)
23. 01. 2022 წ.	თარიღი დასადგენია (ანგოლა)
06. 02. 2022 წ.	კოპენჰაგენი (დანია)
24. 02. 2022 წ.	ებუიანგუ (კენია)
25. 02. 2022 წ.	მერუ (კენია)
27. 02. 2022 წ.	ნაირობი (კენია)
05. 03. 2022 წ.	პრაღა (ჩეხეთი)
06. 03. 2022 წ.	ლინცი (ავსტრია)
11. 03. 2022 წ.	კოლომბო (შრი-ლანკა)
05. 03. 2022 წ.	კოლომბო (შრი-ლანკა)
20. 03. 2022 წ.	ზოლინგენი (გერმანია)
27. 03. 2022 წ.	განა (განა)

New Apostolic Church
International